

განათლების მდგრადი განვითარების გამოწვევები საქართველოში

DOI: 10.52340/erp.2024.05.38

**აბსტრაქტი**

საქართველომ ხელი მოაწერა ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულებას, რომელიც ითვალისწინებს ქვეყნის ჩართულობის ზრდას ევროკავშირის მიერ შემუშავებულ სტარტეგიებსა და პროგრამებში. ხარისხიანი განათლების მიღება მდგრადი განვითარების მიღწევის წინაპირობაა. მისი ამოცანების შესასრულებლად საჭიროა განათლების სისტემის მოდერნიზაცია და ახალგაზრდების აღჭურვა 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევებით, როგორებიცაა: კრიტიკული აზროვნება, პრობლემის გადაჭრა, კრეატიულობა, ემოციური ინტელექტი, სოციალური და თანამშრომლობითი უნარები, ციფრული უნარები და სხვ.

კვლევები აჩვენებს, რომ საქართველოში პრობლემად რჩება მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლები და ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა. მოსწავლეებში შესუსტებულია ანალიტიკური, სოციალური და ლოგიკურობის უნარები. კვლევისას გამოვლინდა ისიც, რომ ისინი ვერ აცნობიერებენ თავიანთ პასუხისმგებლობასა და როლს მდგრადი განვითარებისათვის მისაღწევ მიზნებში. მოსწავლეებთან ერთად მასწავლებლებიც არ არიან სათანადოდ მომზადებული ახალი გამოწვევების საპასუხოდ; საჭიროა მათი გადამზადება, რათა შეძლონ ფეხი აუწყონ მათ გარშემო არსებულ სწრაფად ცვალებად გარემოს. სტატიაში განხილულია ის ზოგიერთი ფაქტორები, რომლებიც აფერხებს განათლების მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას. გამოიკვეთა, რომ განათლების სფერო ჯერ კიდევ ბევრი პრობლემის წინაშეა განათლების ინკლუზიურობის კუთხით, დგას ინფრასტრუქტურული პრობლემები, მასწავლებლები არ არიან საკმარისად კომპეტენტური მდგრადი განვითარების მიზნების რეალიზების პროცესში, განათლების პროგრამები საჭიროებს მოდერნიზებას.

**საკვანძო სიტყვები:** ხარისხიანი განათლება, 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევები, განათლების სისტემის მოდერნიზაცია.

## შესავალი

ხარისხიანი განათლების მიღება მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული და სხვადასხვა ასპექტებს მოიცავს. ძირითადი ფაქტორი, რაც დღესდღეობით ხელს უშლის განათლების მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევას შეიძლება ასე წარმოვადგინოთ:

- ინფრასტრუქტურული პრობლემები - გადატვირთული კლასები, მოუწესრიგებელი საკლასო ოთახები, რომლებიც იწვევს მოსწავლეებში დისკომფორტს და ხელს უშლის როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს კონცენტრირდნენ სასწავლო პროცესზე. ბევრ სკოლაში ინტერნეტისა და კომპიუტერული ტექნიკის, სასწავლო ლაბორატორიების შეზღუდული ხელმისაწვდომობაა, რაც თავის მხრივ აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე და ციფრული უნარების განვითარებაზე.
- განათლების ინკლუზიურობა - ხშირად არ არსებობს ის რესურსები თუ სასწავლო პროგრამები, რომლებიც სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეებზე იქნება მორგებული და ხელს შეუწყობს მათ ჩართვას სასწავლო პროცესში.
- მოძველებული სასწავლო პროგრამები - არ ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს, არ არის ინტერაქტიული მაშინ, როდესაც მსოფლიოში სულ უფრო და უფრო აქტიურად ხდება ხელოვნური ინტელექტის დანერგვა, რომელიც სწორად გამოყენება ხელს უწყობს მოსწავლეთა ინტერესისა და მოტივაციის ზრდას. სასწავლო პროგრამები აშკარად საჭიროებს მოდერნიზებას.
- მასწავლებლების არასათანადო კვალიფიკაცია- მასწავლებლებს ესაჭიროებათ პროფესიული განვითარების მუდმივი ხელმისაწვდომობა, რათა მოსწავლეებს შესთავაზონ მრავალფეროვანი და ინოვაციური სწავლების მეთოდები.

## საქართველოს საქმიანობა მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად

2015 წლის 25 სექტემბერს მსოფლიოს სახელმწიფოთა ლიდერები შეიკრიბნენ მდგრადი განვითარების სამიტზე ნიუ-იორკში (აშშ) და შეთანხმდნენ მდგრადი განვითარების მიზნების შესახებ (SDGs). ეს წესრიგი მოიცავს 17 გლობალურ მიზანს და ინერგება მსოფლიო მასშტაბით 2016 წლიდან 2030 წლის ჩათვლით. საქართველო იყო პირველი ოცდაორ ქვეყანას შორის, რომელმაც წარმოადგინა ნებაყოფლობითი ეროვნული

მიმოხილვა (VNR) მდგრადი განვითარების მიზნების მისაღწევად 2016 წლის ივლისში მდგრადი განვითარების პოლიტიკურ ფორუმზე.

უნდა ითქვას, რომ მდგრადი განვითარების მიზნებმა ჩაანაცვლა ათასწლეულის განვითარების მიზნები. ათასწლეულის განვითარების მიზნებიც ორიენტირებული იყო სიღარიბის აღმოფხვრაზე, გენდერულ და ეკონომიკურ უთანასწორობაზე, ხარისხიან განათლებაზე, ჯანდაცვის ხელმისაწვდომობაზე, რაც თავისთავად აისახა მდგრადი განვითარების მიზნებშიც, თუმცა ძირითადი სხვაობა მათ შორის არის ხაზგასმა მდგრად განვითარებაზე, რაც ერთმანეთთან აკავშირებს ეკონომიკურ, სოციალურ და გარემოს მდგრად განვითარებას.

2019 წლის ბოლოს საქართველოს მთავრობა დასახელდა მთავარ უწყებად, რომელიც პასუხისმგებელია მდგრადი განვითარების ეროვნული დღის წესრიგის კოორდინაციაზე და დანერგვაზე. შეიქმნა მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის ეროვნული საბჭო, რომელიც მონიტორინგს უწევს სხვადასხვა სექტორებს შორის თანამშრომლობას, როგორც ეროვნულ ისე გლობალურ დონეზე. მდგრადი განვითარების კომპენენტები ინტეგრირებულია სხვადასხვა რეფორმების განხორციელების პროცესში, რაც ხელს უწყობს საქართველოს ნაბიჯ-ნაბიჯ მიაღწიოს მდგრადი განვითარების მიზნებს.

17 გლობალური მიზნიდან მე-4 მიზანი არის ხარისხიანი განათლება. ხარისხიანი განათლება მდგრადი განვითარების ყველა სხვა მიზნის მიღწევის აუცილებელი პირობაა. განათლება ყოველთვის წარმოადგენდა მოქმედ ინსტრუმენტს აზროვნებისა და ქცევის სტერეოტიპების შესაცვლელად, საზოგადოების, ეკონომიკისა და მთლიანად სახელმწიფოს მოდერნიზაციისთვის. ამიტომაც გასაკვირი არაა, რომ დღესაც...განათლებას უმთავრესი როლი აკისრია იმ ცვლილებების განსახორციელებლად, რომელიც აუცილებელია მდგრადი განვითარების მისაღწევად “(ბლიაძე., 2021). უნდა აღინიშნოს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის სტრატეგიის მიერ შემუშავებული დოკუმენტი „განათლება მდგრადი განვითარებისთვის“, რომლის მთავარ მიზანს წარმოადგენს მდგრადი განვითარების მიღწევის ხელშეწყობა ფორმალური და არაფორმალური განათლების მეშვეობით, მასწავლებლების სათანადო კომპეტენციებით უზრუნველყოფა იმისათვის, რომ მათ ინტერდისციპლინარულ დონეზე შეძლონ მდგრადი

განვითარების საკითხების ჩართვა, მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელი საშუალებების ხელმისაწვდომობის გაზრდა, თანამშრომლობითი კულტურის გაღრმავება(UNECE strategy, 2003). აღნიშნული სტრატეგია საქართველოში რეალიზდება ქვეყნის პრიორიტეტულ მიმართულებებზე და კონკრეტულ საჭიროებებზე დაყრდნობით. მსოფლიო მასშტაბით 617 მილიონ ახალგაზრდას მსოფლიოში აკლია მათემატიკური წიგნიერებისა და, ზოგადად, წიგნიერების საბაზისო უნარები(რატიანი, 2022). მიუხედავად იმისა, რომ ხორციელდება რეფორმები, ინერგება სხვადასხვა სიახლე ყოველწლიურად ჩატარებული სხვადასხვა საერთაშორისო კვლევა მაინც ცხადყოფს განათლების სფეროსთან დაკავშირებულ არსებულ სირთულეებს საქართველოში.

### **განათლების მდგრადი განვითარების მიღწევის ხელისშემშლელი ფაქტორები**

არსებობს რამდენიმე ძირითადი გამოწვევა, რომლებიც მოითხოვს ერთობლივ კოორდინირებულ მუშაობას სამთავრობო სტრუქტურის, ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მხირდან, რათა განათლების მდგრადი განვითარების მიღწევა გახდეს უფრო ხელშესახები.

ერთ-ერთ ასეთ გამოწვევას წარმოადგენს განათლების მიღების ხელმისაწვდომობის ნაკლებობა. რეგიონებში ხშირია შემთხვევა, როდესაც სოფელში არ ფუნქციონირებს სკოლა და ახალგაზრდებს კილომეტრების გავლა უწევთ განათლების მისაღებად. ხშირ შემთხვევაში დარღვეულია ინკლუზიურობის პრინციპი, ყველა ბავშვს მიეცეს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა, მიუხედავად მისი შესაძლებლობისა ან სირთულეებისა სასწავლო პროცესში. ინკლუზიური მიდგომა სწორედ გულისხმობს რომ რესურსები და სერვისები თანაბრად იყოს გადანაწილებული ყველაზე და არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ ჯგუფზე. როდესაც ირღვევა ინკლუზიურობის პრინციპი, თავისთავად ვერ ვისაუბრებთ თანასწორი, სამართლიანი და მდგრადი გარემოს შექმნაზე.

საქართველოში არსებული სკოლების დიდ მაჩვენებელს კვლავაც აქვს ინფრასტრუქტურული პრობლემები. ბევრი სკოლა ვერ აკმაყოფილებს უსაფრთხოების სტანდარტებს.,,2024 წლის მონაცემებით საქართველოს სკოლების აბსოლუტური უმრავლესობა 59 % საჭიროებს სრულ ან ნაწილობრივ რეაბილიტაციას.სკოლების მხოლოდ

28 % არის ახლად აშენებული, აქედან ხვედრითი წილი მაღალია თბილისში 51%, ხოლო ძალიან დაბალია სამეგრელო-ზემო სვანეთში” (ფირცხალაიშვილი, 2024).

21-ე საუკუნისათვის მოსწავლეთა ერთ-ერთ ყველაზე საჭირო უნარს ციფრული უნარები წარმოადგენს. ამ უნარების განვითარება კი ვერ ხერხდება არასაკმარისი ტექნიკური მოწყობილობებისა და ხარისხიანი ინტერნეტის არქონის გამო სკოლაში. ეს ფაქტორი ხელს უშლის მოსწავლეებს გაიმჯობესონ ციფრული უნარები, გამოიყენონ თანამედროვე ონლაინ რესურსები, შეისწავლონ სხვადასხვა ციფრული ინსტრუმენტები, რაც მათ კონკურენტუნარიანს გახდის შემდგომ დასაქმების ბაზარზე. ასევე მასწავლებლებს ხელს უშლის მრავალფეროვანი და მიმზიდველი გახადონ სასწავლო პროცესი მოსწავლეებისთვის.

ბევრ სკოლაში (სკოლების 64 %) არ ფუნქციონირებს სასწავლო ლაბორატორიები, რომლებიც მოსწავლეებს საშუალებას მისცემდა თეორიული ცოდნის პრაქტიკულად რეალიზებაში, რადგან „ხარისხიანი განათლება გულისხმობს, რომ მასწავლებლები და მოსწავლეები არ იყვნენ უბრალოდ ცოდნის გამცემები და მიმღებები, არამედ ისინი ერთიან სამუშაო გუნდს წარმოადგენდნენ” (UNECE strategy, 2003). სასწავლო ლაბორატორიების გამოყენებით მოსწავლეები უშუალოდ ერთვებიან მეცნიერულ პროცესებში, რაც სასწავლო პროცესს უფრო ინტერაქტიულს და სახალისოს ხდის. ლაბორატორიული მუშაობა მოსწავლეებში ავითარებს ისეთ უნარებს როგორებიცაა პრობლემების გადაჭრა, კრეატიულობა, კომუნიკაცია და თანამშრომლობა. განათლების პროგრამები ხშირად მოძველებულია და საჭიროებს მოდერნიზებას, რადგან ვერ პასუხობს ხარისხიანი განათლების მოთხოვნებს. იმისათვის, რომ ეფექტური იყოს განათლება მდგრადი განვითარებისთვის, მნიშვნელოვანია: შესაბამისი თემები ინტეგრირებული იყოს ყველა შესაბამის საგანის პროგრამაში; ტრადიციული მიდგომების გარდა, ხდებოდეს დისკუსიების, როლური თამაშების, პრობლემაზე დაფუძვნილი დავალებების, გამოკითხვების, კვლევების, პროექტული დავალებების რეალიზება არა მხოლოდ ერთი საგნის, არამედ ინტერდისციპლინურ დონეზე, რამდენიმე საგნის ერთობლივი მუშაობის ფონზე. დღესდღეობით სულ უფრო ხშირია ხელოვნური ინტელექტის გამოყენება სასწავლო პროცესში, რაც ყველაზე დიდი კონკურენტია ტრადიციული საგანმანათლებლო

პროგრამებისა. იგი ტრადიციული პროგრამისგან განსხვავებით ქმნის პერსონალიზებული სწავლების შესაძლებლობას, აანალიზებს მოსწავლეების ინტერესებსა და შესაძლებლობებს და ეტაპობრივად იძლევა რეკომენდაციებს, რაც დამეთანხმებით სასწავლო პროცესის ეფექტურობას საგრძნობლად ზრდის.

ხარისხიანი განათლების მიღებას აფერხებს პრობლემა- სათანადოდ მომზადებული მასწავლებლების ნაკლებობა. იმისათვის, რათა სიღარიბეში მცხოვრებმა ბავშვებმა მიიღონ ხარისხიანი განათლება, საჭიროა მათი გადამზადება, რომ უპასუხონ მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების მიცემის გამოწვევებს (რატიანი, 2022). ხშირად პედაგოგები წინააღმდეგობას უწევენ ცვლილებებს, რადგან ცვლილებები დაკავშირებულია სტრესთან და ახალ მიდგომებთან, ადაპტაციის სირთულესთან. პროფესიული განვითარების ტრენინგები ხშირად არასკმარისია იმისათვის, რომ მათ შეიძინონ უნარები, თუ როგორ მოახდინონ თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება.

მასწავლებლების წინაშე 4 ძირითადი ამოცანა დგას:

„1. დაეხმარონ მოსწავლეებს შეიმეცნონ, რატომაა მდგრადი განვითარების მნიშვნელობის გაგება საჭირო და აუცილებელი;

2. აქტიურად ჩართონ მოსწავლეები მდგრადი განვითარების პრობლემების განხილვაში;

3. ასწავლონ, როგორ უნდა შეძლონ პრობლემების სხვადასხვა რაკურსით განხილვა;

4. ასწავლონ და წახალისონ მოსწავლეები, რომ მდგრადი განვითარების პრობლემებზე იფიქრონ არა მხოლოდ საკლასო ოთახში, არამედ ფორმალური განათლების სისტემის გარეთაც“ (ბლიაძე, 2021).

მნიშვნელოვანია არსებობდეს მასწავლებლის უწყვეტი განვითარებისთვის პროფესიული პროგრამები, რომლებიც მორგებული იქნება უშუალოდ იმ საჭიროებებზე რაც მასწავლებლებს აქვთ არა მხოლოდ ცოდნის მიმართულებით, არამედ სოციალურ-ემოციური მიმართულებით.

## დასკვნა

დასკვნისათვის შეიძლება ითქვას, რომ ხარისხიანი განათლების (SDG 4) მისაღწევად ყველა მოქალაქეს უნდა ჰქონდეს ხელმისაწვდომობა ხარისხიან განათლებაზე, მიუხედავად სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობისა, გენდერისა თუ ფიზიკური შესაძლებლობებისა. ინკლუზიური გარემოს დასამკვიდრებლად აუცილებელია სკოლაში ადაპტირებული ინფრასტრუქტურა, სპეციალისტების მუდმივი გადამზადება და ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების დანერგვის ხელმისაწვდომობა. განათლება საზოგადოებრივი სიკეთე, გლობალური სარგებელი, ადამიანის უმთავრესი უფლება და სხვა უფლებების რეალიზების გარანტიაა. (UNESCO, 2017).

სახელმწიფოს მხრიდან უნდა აღმოიფხვრას ინფრასტრუქტურული პრობლემები, გაიზარდოს ტექნიკური და ლაბორატორიული აღჭურვილობის რაოდენობა, გაუმჯობესდეს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ციფრული წიგნიერების განვითარებას, თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებას სასწავლო პროცესში და სხვადასხვა ინტერაქტიული პლათფორმების გამოყენებას.

პროგრამები უნდა იყოს მეტად მოქნილი და ადაპტირებული. ყურადღება უნდა მახვლიდებოდეს 21-ე საუკუნის უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე, სასწავლო მასალები მუდმივად უნდა ახლდებოდეს და ითვალისწინებდეს მოსწავლეთა სოციო-ემოციურ მხარდაჭერას, რათა მათ უსაფრთხოდ და მშვიდად იგრძნონ სასწავლო გარემოში თავი.

მნიშვნელოვანია მასწავლებლების პროფესიული გადამზადება და უწყვეტი მხარდაჭერა, რათა შეძლონ თანამედროვე და ინოვაციური მეთოდების სასწავლო პროცესში რეალიზება. აუცილებელია საკითხისადმი კომპლექსური მიდგომა, რომ ქვეყანამ შეძლოს წარმატებით განავითაროს მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი - ხარისხიანი განათლება, რაც მოსახლეობის საერთო კეთილდღეობის საფუძველი იქნება.

### გამოყენებული ლიტერატურა:

ბლიაძე, მ. (2021). რა ამოცანები დგას მასწავლებლის წინაშე.  
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) სტრატეგია განათლება მდგრადი განვითარებისთვის (2003), თბილისი  
რატიანი, მ. (2022). მდგრადი განვითარების მიზნები თეორიიდან პრაქტიკამდე. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.

Education for sustainable development goals, learning objectives (2017), UNESCO, Paris, France  
[Sustainability.Ge](http://Sustainability.Ge) - ყველაფერი მდგრადი განვითარების შესახებ  
[https://idfi.ge/ge/why\\_does\\_sdgs\\_matter](https://idfi.ge/ge/why_does_sdgs_matter)  
<https://akhaliganatleba.ge/https-akhaliganatleba-ge-wp-admin-post-phppost29986actionedit/>

**Gvantsa Molashvili**  
Iakob Gogebashvili Telavi State University

## **Challenges of Sustainable Development of Education In Georgia**

### **Abstract**

Georgia has signed an Association Agreement with the European Union, which aims to increase the country's engagement in EU-developed strategies and programs. Access to quality education is a prerequisite for achieving sustainable development. To fulfill its objectives, modernizing the education system and equipping young people with 21st-century skills are necessary. These skills include critical thinking, problem-solving, creativity, emotional intelligence, social and collaborative abilities, digital skills, and more.

Research shows that in Georgia, students' academic performance and access to quality education remain challenges. Students demonstrate weak analytical, social, and logical skills. Research also indicates that they lack awareness of their responsibilities and roles in achieving sustainable development goals. Additionally, teachers are not adequately prepared to face new challenges; retraining is needed so they can keep up with the rapidly changing environment around them. The article discusses several factors that hinder the achievement of sustainable development goals in education. It highlights that the education sector still faces many challenges, including inclusivity issues, infrastructural problems, a lack of adequately competent teachers in sustainable development, and the need for curriculum modernization.

**Keywords:** Quality education, 21st-century skills, Modernization of the education system.